



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 153/ს  
05/04/2023

153-21-4-202304051544



### ქ. თერჯოლაში, შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „მეტიმპექსის“ (ს/კ - 406293210) მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 21 მარტს (წერილი N6283) წარმოდგენილ იქნა ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N2-277 07/04/2022) და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ ეკოლოგები: ი. როსტომაშვილი და ს. ჭეიშვილი, GIS სპეციალისტი მ. სურმავა, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნების გაანგარიშებები შესრულებულია შპს „BS Group“-ის მიერ.

2021 წლის 17 მაისს შპს „მეტიმპექსის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იყო ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შესაბამისად განსაზღვრული იქნა გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა N43 (ბრძანება N2-1298 30/08/2021).

დოკუმენტაციიდან დადგინდა, რომ საწარმოში, შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, უკვე დამონტაჟებულია ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარები. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილ იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 11 დეკემბერის DES02100072323 წერილის თანახმად, 2021 წლის 31 აგვისტოს, დეპარტამენტის მიერ, შპს „მეტიმპექსის“ მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065737 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე, ზესტაფონი-ქუთაისის ავტომაგისტრალის სამხრეთით, შპს „მეტიმპექსის“ კუთვნილ, 3000 მ<sup>2</sup> ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.43.599). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში და მასზე წარსულში ფუნქციონირებდა სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები. ტერიტორიის კოორდინატებია: X - 329244.49, Y - 4669191.08; X - 329266.10, Y - 4669167.51; X - 329310.58, Y - 4669249.70; X - 329333.68, Y - 4669224.87; ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება შპს „ჩოლაბური“ მიწის ნაკვეთი, სამხრეთ-დასავლეთით - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით - შპს „იმერეთის ქარის ელექტროსადგურის“ კუთვნილი ტერიტორიები. ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) დამორებულია დაახლოებით 597 მეტრით, ხოლო გაფრქვევის წყაროდან - დაახლოებით 631 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ჩოლაბური მიედინება დაახლოებით 280 მეტრში. აგრეთვე, ობიექტიდან დაახლოებით 140 მეტრში განთავსებულია ქვიშა-ხრემის მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ხელოვნური ტბორი. საწარმოს ტერიტორია დაფარულია ქვიშა-ლორღითა და სამშენებლო ნაშალით და შემოსაზღვრულია ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეებით. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის ობიექტი - შპს „ფერო პლანტი“.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია ძირითადი საწარმოო შენობა, რომელიც მოწყობილია წერტილოვან მონოლითურ საყრდენებზე, აირმტვერგამწმენდი ნაგებობა, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა, მათ შორის ქვესადგური და ტრანსფორმატორი, მზა პროდუქციის საწყობი, კოჭური ამწე, ნედლეულის ღია საწყობი, საასენიზაციო ორმო, წყლის საწნეო ავზი, წიდის საცავები, ღუმელისა და აირგამწმენდის დამაკავშირებელი მილი. დოკუმენტის მიხედვით, კომპანიის მიერ საწარმოს ტერიტორია შექმნილ იქნა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, შესაბამისად, პრაქტიკულად დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები და დარჩენილია არტეზიული ჭის მოწყობის, ზოგიერთი ტექნოლოგიური დანადგარის მონტაჟისა და ეზოს მოსახვის სამუშაოები.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და შეფასებულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის ტექნოლოგიური, განთავსების ტერიტორიისა და არაქმედების ალტერნატივები და განხილულია დაგეგმილი საქმიანობის ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს განთავსებისათვის განიხილებოდა ქ. ფოთის ინდუსტრიული ზონის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. თერჯოლის ვარიანტები და საბოლოოდ შერჩეულ იქნა ქ. თერჯოლაში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს სამრეწველო ზონაში და დამორებულია მჭიდროდ დასახლებული პუნქტიდან. აგრეთვე, საპროექტო ტერიტორიის შერჩევას გათვალისწინებულ იქნა მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხები. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან განიხილებოდა ელექტროთერმული, ლითონთერმული, ელექტროლიტური და ჟანგბადკონვერტორული მეთოდები, ასევე

გამოდნობა ბრძმედის ღუმელში და გამოდნობა პლაზმურ ღუმელებში. საპროექტო საწარმოსათვის უპირატესობა მიენიჭა ელექტროთერმულ მეთოდს, აღნიშნული მეთოდის ეკონომიკური და ეკოლოგიური უპირატესობების გამო, მათ შორის: ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში ელექტროენერგიის გამოყენება, ფეროშენადნობების როგორც უწყვეტი, ისე პერიოდული ციკლით გამოდნობის შესაძლებლობა, თვითცხოვადი ელექტროდების გამოყენების შესაძლებლობა და სხვადასხვა ფეროშენადნობის წარმოებისათვის შესაბამისი ოპტიმალური რეჟიმების უზრუნველყოფა.

შპს „მეტიმპექსის“ დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქ. თერჯოლაში მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმის და ფეროსილიკომანგანუმის წარმოებას, საწარმოს მიახლოებითი წარმადობა დღის განმავლობაში 4-5 ტ-ს, ხოლო თვეში 125-150 ტ-ს შეადგენს. საწარმოში დასაქმებული იქნება 25-30 ადამიანი. ობიექტის ფუნქციონირება დაგეგმილია უწყვეტად, 24-საათიანი რეჟიმით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „მეტიმპექსის“ მეტალურგიულ საწარმოში, სამი მხრიდან დახურულ შენობაში, მოწყობილია მადანთერმული, მრგვალი ტიპის სამფაზა ელექტროღუმელი, რომლის დადგმული სიმძლავრე 1,5 მვა-ს შეადგენს. ღუმელში ფერომანგანუმისა და ფეროსილიკომანგანუმის შენადნობის წარმოება მოხდება მონაცვლეობით. საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 1800 ტ მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმის და წელიწადში 1500 ტ ფეროსილიკომანგანუმის წარმოება. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ამა თუ იმ შენადნობის წარმოება დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნაზე. წარმოების ტექნოლოგია ერთნაირია და განსხვავებულია მხოლოდ საკაზმე მასალები და მიღებული დნობის პროდუქტების დამუშავების წესი. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოში გამოყენებული არ იქნება ფლუსი - მინერალური წარმოშობის მასალა (კირი, კირქვა, დოლომიტი, კვარციტი და ა.შ.).

დოკუმენტის თანახმად, საწარმოში განთავსებული მადანთერმული ღუმელი ამოგებულია შამოტის აგურით და ნახშირბადოვანი პასტით. ღუმელის აბაზანის დიამეტრი 1800 მმ-ს, ხოლო სიღრმე - 1800 მმ-ს შეადგენს. სადნობი არეს ზემოთ გარსაცმში არის 1000 მმ სიმაღლის ე.წ. „ფანჯრები“, საიდანაც ხდება ღუმელის მომსახურება. ღუმელის თალი დამზადებულია სხვადასხვა ფრაქციის შამოტის ფხვნილით და თხევადი მინით (სიმკვრივე 1,36 გ/სმ<sup>3</sup>) და არმირებულია ფოლადის ღეროებით ისე, რომ არ მოხდეს ინდუქციური ველის წარმოქმნა. ღუმელის თალში დატოვებულია ღიობები, მათ შორის სამი ღიობი, თითოეული 500 მმ დიამეტრის - თვითმცხოვადი ელექტროდებისათვის (სამი ელექტროდი, თითოეული 428 მმ დიამეტრის, რომლებზეც მიეწოდება ელექტროენერგია) ასევე თალში დატოვებულია სამი 430 მმ დიამეტრის ღიობი კაზმსავალი მილებისათვის. ღუმელის ნულოვან ნიშნულზე, გარსაცმის ძირიდან +1300 მმ სიმაღლეზე, განთავსებულია ღუმელის კრიჭა, საიდანაც პერიოდულად, გარკვეული რაოდენობის ელექტროენერგიის დახარჯვის შემდეგ, წარმოებს ღუმელში მიმდინარე პროცესების შედეგად წარმოქმნილი ნადნობის გამოშვება. ღუმელის გარშემო მოწყობილია არმირებული ბეტონის მოედანი, საიდანაც ხდება ღუმელის მომსახურება. ასევე, განთავსებულია სატრანსფორმატორო, რომელშიც განთავსებულია სამფაზა, 1,0 მვა სიმძლავრის საღუმელე ტრანსფორმატორი,

ღუმელის სამართავი პულტი და სახელოსნო. ასევე განთავსებულია ელექტროდების გადაადგილების მოწყობილობები, დაახლოებით  $6,0 \text{ მ}^3$  მოცულობის საკაზმე ხვიმირები (3-4 ხვიმირა ჯამურად), სადაც წარმოებს უწყვეტი თვითცხოზადი ელექტროდების წაზრდა. ღუმელიდან ნადნობის გამოშვება წარმოებს 1000-1200 მმ დიამეტრისა და 1500 მმ სიმაღლის მქონე ცეცხლგამძლე აგურით ამოგებულ ფოლადის ციციხეებში. ციციხე თავსდება კრიჭის ღარის ქვემოთ მოწყობილ კესონური ტიპის ბეტონის ჩაღრმავებაში, რომლის ზომებია  $3000 \times 3000$  მმ; სიღრმე 250 მმ. საწარმოო შენობა აღჭურვილია კოჭური ამწით, რომელზეც დამონტაჟებულია 3,2 და 1,0 ტონა ტვირთამწეობის ტელფერები. კოჭური ამწის მეშვეობით ხდება დნობის პროდუქტების და სხვა ტვირთების გადაადგილება.

საწარმოში ნედლეულის სახით გამოიყენება მანგანუმის მადანი ან კონცენტრატი Mn 40-45%, რკინის შემცველი ნედლეული Fe -60% და მეტალურგიული კოქსი C – 81%. წლის განმავლობაში 1800 ტონა მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმის წარმოებისათვის საწარმოში გამოიყენება 5110 ტ მანგანუმის კონცენტრატი, 840 კოქსი და 365 ტ - რკინის შემცველი ნედლეული. ხოლო წლიურად 1500 ტონა ფეროსილიკომანგანუმის წარმოებისათვის საწარმოში გამოიყენება 3103 ტ მანგანუმის კონცენტრატი, 803 ტ კვარციტი და 657 ტ კოქსი. საწარმოში დნობის შედეგად მიიღება ფერომანგანუმი Mn-75% და ფეროსილიკომანგანუმი Mn-65%.

საწარმოში გათვალისწინებულია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება ან ნედლეულის საზღვარგარეთიდან შემოტანა. პროექტის საწყის ეტაპზე სატრანსპორტო ოპერაციები შესრულდება გადამზიდავი კომპანიების გამოყენებით და თვის განმავლობაში, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის განხორციელდება დაახლოებით 25-30 სატრანსპორტო ოპერაცია. საწარმოში შემოსული ნედლეული თავდაპირველად განთავსდება ნედლეულისთვის განკუთვნილ ღია საწყობში, რომელიც შემოსაზღვრული იქნება ზღუდარებით. ნედლეულის შემოსატანად ძირითადად გამოყენებული იქნება საავტომობილო ტრანსპორტი, თუმცა, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამომავლო პერსპექტივაში შესაძლებელია რკინიგზით სარგებლობა. დოკუმენტში წარმოდგენილია ნედლეულის შემოტანის ტრანსპორტირების სქემები, მათ შორის ფოთის პორტის საბაჟოდან შემოტანისა და ბათუმის პორტის საბაჟოდან შემოტანის შემთხვევებისათვის. საწარმოდან პროდუქციის გატანა გათვალისწინებულია საავტომობილო ტრანსპორტით.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი შემდეგია: შემოტანილი ნედლეული წინასწარ დადგენილი თანმიმდევრობით და წონით, ცალ-ცალკე დამტვირთავის საშუალებით ჩაიყრება კონტეინერებში, რომლებიც კოჭური ამწის საშუალებით ტრანსპორტირდება და კაზმი ჩაიყრება საკაზმე ხვიმირებში. ხვიმირებიდან კაზმი კაზმსავალის გავლით თვითდინებით მიეწოდება ღუმელის საკერძეზე. ღუმელში ჩაშვებულია სამი ელექტროდი, რომლებზეც მიეწოდება ელექტროენერგია. ელექტროენერგიის მიერ შექმნილ მაღალტემპერატურულ სადნობ არეში მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფერო ან სილიკომანგანუმი. აღნიშნული პროცედურისათვის სადნობ არეში საჭიროა  $1350 \text{ C}^0$  ტემპერატურის მიღწევა, რაც ხორციელდება ელექტროორკალის საშუალებით. ელექტროენერგია ღუმელში მიეწოდება საღუმელე

ტრანსფორმატორიდან დენმიმყვანი სალტების (მოკლე ქსელი) და ნახშირბადის შემცველი თვითცხოვადი ელექტროდების მეშვეობით. დენის ძალა ელექტროდებზე 6000-8000 ამპერს შეადგენს; ძაბვა 60-80 ვოლტს. მოკლე ქსელი და ელექტროდები გაანგარიშებულია ისე, რომ თავისუფლად ატარებს აღნიშნული დენის ძალას. ამიტომ დენმიმყვანები არ საჭიროებენ წყლით გაცივებას.

ღუმელში დნობის პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად, დნობის პროდუქტების პერიოდულად გამოშვებით ღუმელის კრიჭიდან. დნობის პროდუქტები (შენადნობი და წიდა) კრიჭიდან ცეცხლგამძლე მასალით ამოგებული ღარის მეშვეობით ჩაედინება ასევე ცეცხლგამძლე აგურით ამოგებულ ფოლადის ციცხვში. შენადნობი, როგორც უფრო მძიმეა (სიმკვრივე 7.2 გ/სმ<sup>3</sup>), ილექება ციცხვის ფსკერზე, ხოლო წიდა (სიმკვრივე 2.8 გ/სმ<sup>3</sup>) გადმოედინება ციცხვის ტუჩიდან წიდის საცავში. საწარმოს შენობაში განთავსებულია წიდის ორი საცავი. აღნიშნული საცავები წარმოადგენს ცეცხლგამძლე მასალით ამოგებულ ორმოებს. ცხელი წიდა ისხმება წიდის საცავებში და გარკვეული დროით ინახება, ვიდრე არ მოხდება მისი გაგრილება. გაგრილების შემდგომ, ხდება წიდის გატანა და საწარმოს ეზოში განთავსებული ნედლეულის ღია საწყობში დაყრა, საიდანაც პროდუქტი მიეწოდება მომხმარებელს. მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმის წარმოების თანმხლები წიდა, წელიწადში დაახლოებით 1500 ტონა, რომელიც მდიდარია მანგანუმით (Mn - 38%), მიეწოდება სილიკომანგანუმის მწარმოებელ კომპანიებს, ხოლო ფეროსილიკომანგანუმის წარმოების თანმხლები წიდა (Mn - 10%), რომლის რაოდენობა წელიწადში 2200 ტონას შეადგენს, მიზერულ ფასად გაიცემა მომხმარებელზე.

ნადნობის გამოშვების დასრულების შემდეგ, ციცხვი სპეციალური ჩასაბმელის (ტრავერსა) საშუალებით, კოჭური ამწით მიეწოდება წიდის საცავში ციცხვში დარჩენილი წიდის დეკანტაციის მიზნით, შენადნობის სარკისებრი ზედაპირის გამოჩენამდე. შენადნობის ჩამოსხმა წარმოებს თუჯის ტაფაზე ზომებით 1500x1000x300 მმ. გაცივების შემდეგ, დაახლოებით 1 საათში, შენადნობი ამოიღება თუჯის ტაფიდან და მიეწოდება დასასაწყობებელ მოედანზე, სადაც მიღებული პროდუქტი, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, ჩაიტვირთება ბიგ-ბეგებში ან გაიცემა ნაყარის სახით.

ღუმელში მიმდინარე რეაქციების შედეგად გამოიყოფა აირები და წვრილფრაქციული კაზმის ნაწილაკები (მტვერი). აირმტვერნარევი ДН 12.5 ტიპის კვამლგამწოვის საშუალებით მიეწოდება ფოლადის, მშრალი ტიპის აირგამწმენდ დანადგარს (ზომებით: 5500x3100x4000 მმ), რომელიც აღჭურვილია ნაჭრის, სახელოების ფორმის ფილტრებით. აღნიშნულ დანადგარში, ექვს კოლონას შორის მოთავსებულია ორი ხვიმირა, რომლებიც წარმოადგენს ფილტრის სექციებს. თითოეული ხვიმირა ზემოდან დაფარულია 10 მმ სისქის ფოლადის ფურცლით - ერთ ხვიმირაზე 25 მილით, რომლებზეც მაგრდება 6 მეტრის სიმაღლის ნაჭრის ფილტრები. ფილტრის სექციები მუშაობს პერიოდულად: როცა ერთი სექცია ფილტრაციაზეა, მეორეში მიმდინარეობს რეგენერაცია (მტვერის ჩამოფერთხვა). რეგენერაცია წარმოებს ჰაერის ნაკადის უკუდაბერვის გზით.

გზშ-ის ანგარიშსა და თანდართული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში აღწერილია ობიექტის

ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი ( $\text{SiO}_2 < 70\%$ ), შეწონილი ნაწილაკები, მანგანუმის დიოქსიდი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონად გათვალისწინებულია გაფრქვევები საწარმოს სიახლოვეს განთავსებული შპს „ფერო პლანტის“ ანალოგიური პროფილის საწარმოდან, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობასთან (597 მ). შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად.

გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია ფერომანგანუმის წარმოებისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვა, თუმცა აღსანიშნავია რომ ღუმელის სახელოიანი ფილტრების გაფრქვევის მილი საერთოა ფეროსილიკომანგანუმის და ფერომანგანუმის წარმოებისთვის. აღნიშნული გარემოებისა და იმის გათვალისწინებით, რომ გზმ-ის ანგარიშის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში მოცემულია მოცულობითი სიჩქარეები, რაც გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებული არ არის, საჭიროა ექსპლუატაციის ეტაპზე, ღუმელის მილზე მტვრის (შეწონილი ნაწილაკების) უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოო ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია გამწვანებითი ღონისძიებების განხორციელება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოდგენს მაღალი ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვის ზონას, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ამასთან, საწარმოს მოწყობის ძირითადი სამუშაოები პრაქტიკულად უკვე დასრულებულია, შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია მხოლოდ ბიოლოგიური გარემოს სინანტროპული სახეობები, შესაბამისად, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყალმოხმარება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წლის განმავლობაში დაგეგმილია 273.75 მ<sup>3</sup> წყლის აღება. წყალმომარაგება განხორციელდება ჭაბურღილიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 10 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმო. საასენიზაციო ორმოს დაცლა, შესაბამისი

ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდება შევსების შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა პოტენციურად დამაბინძურებელი წყარო განთავსებულია გადახურვის ქვეშ, შესაბამისად, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკები მინიმალურია.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. ნარჩენების შესაგროვებლად ობიექტზე დანერგილია სეპარირებული სისტემა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე, პერიოდულად გაიტანება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ უბანზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიებს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი წიდა დამუშავების გარეშე გადაეცემა მომხმარებელს.

საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ყველა წყაროს ერთდროული მუშაობის შემთხვევაში ხმაურის მაქსიმალური დონე 90 დბა იქნება, ხოლო უახლოეს შენობა-ნაგებობასთან (საცხოვრებელი), საწარმოდან 597 მეტრის დაშორებით, 37 დბა-ს, ხოლო ტექნოლოგიური ციკლის დახურულ შენობაში განთავსების გამო ხმაურის გავრცელების შეზღუდვის გათვალისწინებით, ხმაურის დონე დაახლოებით 27 დბა-ს შეადგენს და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ხმაურით ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

დოკუმენტში განხილულია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში კუმულაციური ზემოქმედების საკითხები და აღნიშნულია, რომ საწარმოს სიახლოვეს განთავსებულია შპს „ფერო პლანტის“ ანალოგიური პროფილის საწარმო, რომლის გათვალისწინებითაც მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე, სატრანსპორტო ნაკადებსა და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედება. ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას დოკუმენტში, ფონის სახით გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული საწარმოდან მანგანუმის დიოქსიდის, სილიციუმის დიოქსიდისა და მყარი ნაწილაკების გაფრქვევების მაჩვენებლები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებული კვლევების მიხედვით, საწარმოებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მაჩვენებლები არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ მნიშვნელობებს.

ხმაურთან დაკავშირებულ კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უახლოეს შენობა-ნაგებობასთან (საცხოვრებელი), შესაბამისი გამოთვლებით ხმაურის გამომწვევი ყველა დანადგარის ერთდროული მუშაობის პირობებში, ხმაურის მაქსიმალური დონე ტექნოლოგიური ციკლისა და დანადგარების დახურულ შენობაში განთავსების გათვალისწინებით 36 დბა-ს შეადგენს, შესაბამისად, ხმაურის თვალსაზრისით კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გასატანად დაგეგმილია თვის განმავლობაში დაახლოებით 25-30 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება, შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 10 მაისს, თერჯოლის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „მეტიმპექსის“, ააიპ „მწვანე ალტერნატივას“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირი და დაინტერესებული საზოგადოება, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვის მსვლელობისას ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა შენიშვნა გამოთქვა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ყურადღება გამახვილდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე, კუმულაციურ ზემოქმედებაზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მონიტორინგზე და კონტროლის საკითხებზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდა კანონმდებლობის შესაბამისად და განმარტა, რომ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ვებგვერდზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ასევე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია გავრცელებული იქნა ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ და საჯარო განხილვას ესწრებოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები.

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, შპს „მეტიმპექსის“ წარმომადგენელმა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირმა აღნიშნეს, რომ საწარმოში დაგეგმილია მაღალი ეფექტურობის მქონე გამწმენდი სისტემის მოწყობა, რომელიც გამოიყენება თანამედროვე საწარმოებში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება არ იქნება მოსალოდნელი. რაც შეეხება კონტროლის მექანიზმს, სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგს და კონტროლს პერიოდულად ახორციელებს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, მან განმარტა კონტროლის მექანიზმი, შესაბამისი



პროცედურები და დარღვევების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე აღნიშნა, რომ დარღვევების შემთხვევაში მოსახლეობას შეეძლო მიემართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის. კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გზშ-ის ანგარიშში შეფასებულ უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედება და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედების საკითხები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ იქნებოდა გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშში, სააგენტო უზრუნველყოფდა ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებას/შეწყვეტას, შესაბამისი (დაზუსტებული) ინფორმაციის წარმოდგენამდე. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი დაგეგმილი საქმიანობის მიმართ და აღნიშნავდნენ, რომ საწარმოები უნდა გაკეთდეს, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას, ხოლო ახალი საწარმოს ექსპლუატაცია გააუარესებდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობას, საწარმოს მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და სამოვრებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ დასახლებულ პუნქტთან სიახლოვეს ფუნქციონირებს მსგავსი ტიპის საწარმოები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ატმოსფერულ ჰაერზე და მოსახლეობა შეწუხებულია ეკოლოგიური პრობლემებით. წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები ასევე ეხებოდა კომპანიის მიერ საწარმოს მოწყობის უნებართვოდ განხორციელებულ სამუშაოებს და პროექტის შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობას.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 8 ივნისის N 21/2373 წერილის საფუძველზე შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიის მხრიდან მოითხოვა შენიშვნებთან მიმართებით დამატებითი ინფორმაციისა და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საწარმოს გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სააგენტოს მიერ მოთხოვნილ საკითხებთან დაკავშირებით კომპანიის მიერ 2022 წლის 13 ივლისს (წერილის N3179) წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N2-539 29/07/2022). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

დამატებითი ინფორმაციით დაზუსტდა საპროექტო ტერიტორიისა და უახლოესი მოსახლის საკადასტრო საზღვრებს შორის არსებული მანძილი, ნულოვანი გაფრქვევის წყაროსთან და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები და ავტომაგისტრალიდან საწარმომდე მისასვლელ გზაზე ტვირთის გადატანისას მტვრით

(მყარი ნაწილაკებით) გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული გამწვანებით ღონისძიებებსა და ობიექტის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი წიდის მართვის საკითხებთან და მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით. კომპანიის განმარტებით, შპს „მეტიმპექსმა“ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, შესაბამისად ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც კომპანიას ადანაშაულებენ უნებართვო საქმიანობაში, მიუღებელია. ხოლო შპს „მეტიმპექსის“ დაგეგმილი საქმიანობით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეზზე, საძოვრეზზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან მიმართებით სოფ. სვირის მოსახლეობის პოზიციასთან დაკავშირებით, კომპანიის განმარტებით, საწარმოს ექსპლუატაციის ფაზისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებულია ზდგ-ის ანგარიში, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ არსებული სხვა საქმიანობებით ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება, რომლის მიხედვითაც ზდგ-ის ნორმები არ აჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს. ამასთან საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის წყარო აღჭურვილი იქნება ონლაინ მონიტორინგის სისტემით, რომლის შედეგები უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. აგრეთვე, შპს „მეტიმპექსის“ მიერ წარმოდგენილი წერილის (N3179) თანახმად, შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების საწარმოს საქმიანობისთვის 2021 წლის 11 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელის დროსაც შენიშვნები კომპანიის საქმიანობის შესახებ არ გამოთქმულა. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე კი მხოლოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის საჩივრები დაფიქსირდა, რომელიც საპროექტო საწარმოდან დაშორებულია არანაკლებ 1,3 კმ-ით. წერილის თანახმად, საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებამ საჯარო განხილვის მიმდინარეობისას დეტალების დაზუსტების, კერძოდ საპროექტო საწარმოს კონკრეტული მდებარეობის დადგენის შემდეგ, აღნიშნა, რომ ისინი არასწორად იყვნენ ინფორმირებული საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, ვინაიდან პროტესტის ადრესატი კომპანია საკმაოდ მოშორებულია მათი დასახლებიდან და ამკარად გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ზემოაღნიშნული ინფორმაცია, 2022 წლის 10 მაისს გამართული საჯარო განხილვის ოქმი, ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეორე სვირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება და შპს „მეტიმპექსის“ 2022 წლის 13 ივლისის N3179 წერილი, სააგენტოს მიერ ორჯერ იქნა გადაგზავნილი ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების მერიამში 2022 წლის 21 ივლისსა (N 21/3747) და 2022 წლის 16 აგვისტოს (N 21/4477). .

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2023 წლის 9 სექტემბერს, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი წერილის (28-2822252129) თანახმად, ფეროშენადნობების გადამამუშავებელი ქარხნის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნია, ხოლო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2023 წლის 2 თებერვალს, სააგენტოში წარმოდგენილი

წერილის (22-2223033136) თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირში, იუსტიციის სახლის შენობაში დაგეგმილ შეხვედრაზე, სადაც უნდა მომხდარიყო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის საჯარო განხილვა, სოფელ მეორე სვირის მაცხოვრებლები, რომლებიც დაგეგმილი შეხვედრის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებული სოფელ მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ, არ გამოცხადდნენ. წერილის თანახმად, შპს „მეტიმპექსის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის წყარო აღჭურვილი იქნება ონლაინ მონიტორინგის სისტემით, რომლის შედეგები უწყვეტ რეჟიმში იქნება მიწოდებული შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოსთან და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გააჩნია.

შპს „მეტიმპექსის“ მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირებით 2022 წლის 5 აგვისტოს ააიპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი იქნა შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა, მათ შორის, შპს „მეტიმპექსის“ საწარმოსთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებს, კომპანიის მიერ მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენლობას, საპროექტო ტერიტორიაზე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. თერჯოლაში, შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „მეტიმპექსმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „მეტიმპექსმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი

მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

5. **შპს „მეტიმპექსმა“** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ღუმელის მილზე მტვრის (შეწონილი ნაწილაკების) უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება. ამასთან, უზრუნველყოს გაფრქვევის მილში ნახშირბადის მონოქსიდის, აზოტის დიოქსიდის (ოქსიდების), გოგირდის დიოქსიდის (ოქსიდები) და ტემპერატურის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება თვეში ერთხელ, ექსპლუატაციაში შესვლიდან სულ მცირე ექვსი თვის განმავლობაში საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის და შედეგების სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
6. **შპს „მეტიმპექსმა“** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის განახლება, მათ შორის ფეროსილიკომანგანუმის წარმოებისას ღუმელის გაფრქვევის მილზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის ვალდებულების გათვალისწინებით და ექსპლუატაციის დაწყებამდე სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს 500 მ-იანი რადიუსის საზღვრის პერიმეტრზე, მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში მოცემული უნდა იყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. **შპს „მეტიმპექსმა“** ნარჩენების მართვა განხორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. აგრეთვე, ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად სამინისტროსთან კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წიდის მართვის დეტალური ღონისძიებები (მათ შორის დროებით დასაწყობების მეთოდები და პირობები);
8. **შპს „მეტიმპექსმა“** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების (მათ შორის ნედლეულისა და პროდუქციის ძარაგადახურული სავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილება, ასევე არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა) განხორციელება და ცხელ და მშრალ ამინდებში საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვა;
9. **შპს „მეტიმპექსმა“** ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;

10. შპს „მეტიმპექსმა“ ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვრის მართვისა (დასაწყობების პირობები, ფორმირება, ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება და სხვა) და ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
11. შპს „მეტიმპექსი“ ვალდებულია ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „მეტიმპექსმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მეტიმპექსს“;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მეტიმპექსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო